პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
სამშაბათი
30
დეკემბერი
№ 303
(16429)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი შრომითი გამარჯვება

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას — ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ამოქმედებას.

რესპუბლიკაში ფაიფურის მრეწველობის პირველი დიდი საწარმოს აგება, რომელიც მწყობრში ჩადგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების თანახმად, იმის მკაფიო მაგალითია, რომ კომუნისტური პარტია, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი დღენიადაგ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ხორცი შეესხა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკის შემდგომი განვითარება.

მსუბუქი მრეწველობის ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მწყობრში ჩაყენება მშენებლებისა და მემონტაჟეების, დამპროექტებლებისა და ექსპლოატაციის მუშაკების, მშენებლობის ყველა მონაწილის თავდადებული, შემოქმედებითი შრომის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია, რომელიც მათ განსწიეს ქმედითი სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ თქვენ ძალღონეს არ დაიშურებთ, რათა შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებები — სრული სიმძლავრით აამოქმედოთ ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა და გამოუშვათ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, დიდ შრომითს წარმატებებს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ერთიან ძმურ ოჯახში

დღევანდელ დიადი სამშობლოს ყველა ერი და ეროვნება ერთიან ძმურ ოჯახში მხარდამხარ ეგებება სკკპ XXV ყრილობას. ეს ერთიანობა და შეკავშირება ახალი ძალით ვლინდება ახლა, როცა საბჭოთა ადამიანები აჯამებენ მეცხრე ხუთწლედის შედეგებს, სახავენ მომავლის გეგმებს. ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებს". მეათე ხუთწლედის ჰორიზონტები, ამ დოკუმენტის მთელი მნიშვნელობა ახალი ძალით ცხადყოფს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

„ჩვენი კავშირი, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ვითარდება ეკონომიკური, კულტურული, სოციალური მიმართულებით, როგორც ერთიანი და მთლიანი ორგანიზმი, ხოლო საბჭოთა ხალხების მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება გადაიქცა ჩვენი ეროვნული ბედნიერების მნიშვნელოვან ფაქტორად".

ბოლო ალენიშნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 53-ე წლისთავი. წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ძმობა. საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ სოციალისტური ეკონომიკური განვითარების გზაზე. ყველა რესპუბლიკამ ვადამდე დასრულა ხუთწლედის წლებისათვის დადგენილი სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობის გეგმები, თვითეულმა ათეულობით მიაღწია სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან აღმავლობას, კიდევ უფრო გამდიდრდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა, გაუმჯობესდა მშრომელთა კეთილდღეობა.

ქვეყნის ერთიან სამეურნეო რიტმში ნათლად ვლინდება ხალხთა მეგობრობის აღმშენებლობითი ძალა. ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ კიდევ უფრო დაანახვა, დაკავშირა ისინი, ახალი ფორმებით გაამდიდრა მოძმე რესპუბლიკების მრავალმხრივი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ამის ერთ-ერთი მაგალითია კაშის საავტომობილო გიგანტის მშენებლობა: მას სამოცდაათი ეროვნების წარმომადგენლები აშენებენ. მშენებლობის შეკვეთებს ხუთასზე მეტი საწარმო ასრულებს. მეათეულ რესპუბლიკას ფართო შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ერთიან-სახალხო კუთვნილებით — მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევებით. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის ეფექტიანი და ზოგადფრივი წარმოების განუხრელ განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შემდგომ აყვავებას.

ჩვენი პარტია, რომელიც მტკიცედ და თანამიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა კავშირის განმტკიცების კურსს, ეროვნულ ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან წყვეტს. სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხთა ეკონომიკური, იდეურ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ერთობის განმტკიცებას, ღრმად ეახასა პარტიის მიერ შემუშავებულ მეათე ხუთწლედის გეგმებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი როგორც საბჭოთა კავშირის საერთო ინტერესებს ითვალისწინებს, ისე ეროვნული მომძმე რესპუბლიკის ინტერესებსაც. მეათე ხუთწლედში ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედში — უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკის ახალი აღმავლობა ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, ეკონომიკური რაიონში, ავტონომიურ ოლქსა და ეროვნულ ოკრუგში. კიდევ უფრო გათანაბრდება რესპუბლიკათა ეკონომიური განვითარების დონე. გაძლიერდება თვითეული მათგანის როლი მეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, გაუმჯობესდება ქვეყნის საწარმოო ძალების განლაგება. განუხრელად ყურადღება ენიჭება აღმოსავლეთის რაიონების ეკონომიკური პოტენციალის ზრდას.

პარტია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს ენერგიას წარმართავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, შრომის ეფექტიანობის გასაღიდებლად, მთელი ჩვენი რესურსების რაციონალურად გამოსაყენებლად და მოჭირნეობის რეჟიმის დასაცავად. ... რესურსებისა და სამეურნეო შესაძლებლობების შერწყმა, წარმოების მართვის სრულყოფა, მოსი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაღრმავება, დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის ორგანული ურთიერთკავშირი უზრუნველყოფს საერთო საკავშირო და რესპუბლიკური ინტერესების ჰარმონიულ შეჯამებას.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება სოციალისტური ... ეროვნების წესი, რომელიც ერთიანია ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებისათვის. ეს ეისახება მათი ძმური მეგობრობის თანამდევრული განმტკიცებით, ყველა მშრომელის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრული დაკმაყოფილებით, ... ეროვნული თავისებურებების შესაბამისად მოხმარების მომსახურების გაფართოებით, სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობის ინტენსიური გაშლით, რესპუბლიკებს შორის ... ღირებულების გაცვლით.

ჩვენი წინსვლის კვალობაზე განუხრელად ვითარდება საერთო ხალხური და ეროვნული სახელმწიფოებრიობის დემოკრატიული ... ბები. იზრდება მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის აქტივობა და ინიციატივა, ფართოვდება მასების უშუალო მონაწილეობა თვითეული რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის ... მართვაში. ეს არის სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, ჩვენი საერთო-სახალხო სახელმწიფოს განუხრელი განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება.

სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოების, ... ძმური თანამშრომლობის განმტკიცების პროცესში დიდ როლს ... ებენ პარტიის, მისი რესპუბლიკური რაზმების, ადგილობრივი ... პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა. პარტია, ... ელიც ზრდის ყველა მშრომელსა და მოზარდ თაობას საერთო-ეროვნული საბჭოთა სიამაყის, პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ნაციონალისტური ... ნებების ყველა ... ეროვნებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ადუღებებს ... საბჭოთა ხალხის, ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას.

1976 წელს — მეათე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენი ქვეყნის ... ხალხი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსენი ხვდებიან და ზმად ... ან ახალი ხაგმირო ხაქმეებისათვის. მათი ძალის წყაროა საერთო ... ტერესები და მიზნები, კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების ერთგულება. საბ... კავშირის ყველა ერსა და ეროვნებას მძლავრი ინტერნაციონალური თანამეგობრობა შთაგონებს ახალ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის, ... ის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

PRAVDA
29 დეკემბრის მოწინავე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „ნორჩი ლენინელი"-ს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისთვის, დაარსების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით გაზეთი „ნორჩი ლენინელი" დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. კობულოვი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვეტაძე

თბილისი, 1975 წლის 29 დეკემბერი.

სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

მ ე ც ხ რ ე ხ უ თ წ ლ ე დ ი ს პ ი რ ა მ ი დ ა ნ

მწყობრში ჩადგა ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა

შენთვის, ჩემო სამშობლო!

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილი ბაზეიმო მიტინგი.
ი. ჭოკონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გათვალისწინებულ ვადაზე ათი დღით-ადრე გამოუშვა პირველი პროდუქცია ზუგდიდის ფაიფურის ქარხანამ. მწყობრში ჩადგა მეცხრე ხუთწლედის კიდევ ერთი ასამოქმედებელი ობიექტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალ დარგს.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ზუგდიდში გაიმართა დიდი ზეიმი. ასამბით ადამიანი — ისინი, ვინც ქარხანას აშენებდნენ, ისინიც, ვინც ძმუშავებენ მას საწარმოო საამქროებში, კორპუსებსა და განყოფილებებში, მრავალრიცხოვანი სტუმრები — ქალაქის საწარმოების, ახლომახლო სოფლებისა და რაიონების წარმომადგენ ლ ებ ი, რომლებიც ჩამოვიდნენ ქართული ფაიფურის დაბადების გამო სიხარულის გასაზიარებლად, შეიკრიბნენ მიტინგზე ქარხნის უზარმაზარ ეზოში. იგი მორთული იყო ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით, რომლებიც მშრომელებს მოუწოდებდა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას. მრავალსართულიანი კორპუსების ფრონტონები მორთული იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პორტრეტებით. პაონრებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს.

ტრიბუნაზე ბრიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის აბაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. ხინბა, ავრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ვ. პ. გამცემლიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „მონტაჟსპეცმშენის" მთავარი სამმართველოს უფროსი შ. ე. ბუხრაშვილი, პარტიის ზუგდიდის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები გ. რ. კვარაცხელია და ი. თ. თოდუა.

ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. რ. კვარაცხელიამ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს.

რესპუბლიკის მშრომელ ებ ი, თქვა მან, რომელმაც ფართოდ გაშალეს საყრილობო შეჯიბრება, ყოველდღე უპატეჯიბენ სამშობლოს მიღწეულ წარმატებებს. 2 დეკემბერს საქართველოს მრეწველობამ შეასრულა მეცხრე ხუთწლედის დავალებები, მოქმედთა მწყობრში დგებიან სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ახალი საწარმოები.

და დღეს თქვენთან ერთად წილად გვხვდა დიდი პატივი ვიყვნეთ მოწმენი და მონაწილენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი დიდი მოვლენისა, რომელიც ნათელ ფურცლად ჩაიწერება სოციალისტური საქართველოს სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების სახელოვან მატიანეში — ამოქმედდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ზუგდიდის თაიფურის ქარხანა, რომლის სიმძლავრეა წელიწადში 28 მილიონი ნაკეთობა.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისალმება ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლების, მემონტაჟეების, ექსპლოატაციის მუშაკებისა და მშენებლობის ყველა მონაწილისადმი.

როგორც გახსოვთ, თქვა შევარდნაძემ, ამხ. შევარდნაძემ, დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ აღვნიშნეთ რესპუბლიკის თერადი მეტალურგიის პირმშოს—მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის მთლიანად დამთავრება.

დღეს მადნეულის მშენებელთა სახელოვანი შრომითი ესტაფეტა პირნათლად მიიტანეს გამარჯვებამდე ზუგდიდელმა მშენებლებმა — რესპუბლიკაში ცხოვრების საგზური მიიღო მსუბუქი ინდუსტრიის კიდევ ერთმა ახალმა დარგმა — ფაიფურის მრეწველობამ. ეს ღირსეული და მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი პარტიის გრანდიოზული პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა მწყობრში ჩადგა. საქართველოს მშრომელები სიამაყით მოახსენებენ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები ახალ საწარმოთა ამოქმედების თაობაზე, მთლიანად შესრულდა.

ღირსშესანიშნავია, რომ ეს გამარჯვება მოპოვებულია სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისათვის მზადების პერიოდში. ეს ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა მომავალი ფორუმისათვის ჭეშმარიტად ღირსეული საჩუქარია.

ამ ქარხნის მშენებლობის მეშუტაზე შეგვიძლია ვიამყოლოთ თუნდაც იმით, რომ მშენებლობის დაწყებიდან, ანუ 1973 წლიდან ითვისეს 18 მილიონ 600 ათასი მანეთი კაპიტალური დაბანდება, შეასრულეს 12 მილიონ 500 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მოკლე დროში დააყენეს და დაამონტაჟეს დაახლოებით 6 მილიონი მანეთის მოწყობილობა.

საგულისხმოა, რომ საწარმოს მშენებლობა ნორმატიულ ვადებში დამთავრდა. ღღეთიდღე იზრდებოდა უზარმაზარი საწარმოო კორპუსი, მშენებელი ადმინისტრაციული შენობა, დამხმარე საამქროები და ნაგებობები.

ამიტომ უპირველესად მადლობას ვუძღვნით ჩვენს სახელოვან მშენებლებს, წარმოების ნოვატორებს — მეგზურებს. ბეჟან ბაბუნაიას, ხუროებს რეგაზ მგელაძესა და რევაზ ხურციძეს, კალატოზ ილია კოზიარს, მეგობარ ფრედიკო გოგინაშვილს, მემონტაჟეებს ალექსი ლაშინს, სპარტაკ სოხაძეს, იგორ გორდეევს, ბულდოზერისტ გრიგოლ დომოცევს, მეებავ მურად ოქრობერიაშვილს, ელექტროშეფუთველ ზურაბ ბიბილეიშვილს, ელექტრომონტიორ ნიკოლოზ ეკაკუას, სამუშაოთა მწარმოებელს გოდერძი არხოლავას, ჯიდუ ნებიერიძეს, ტუტაკა გარდავას, სამშენებლო სამმართველოთა უფროსებს სულეიმ ცომინტიას, მიხეილ ვაშაძეს, ჯონი სალაყაძეს. ლევან ბაბუნაშვილს, ნოდარ ჩაგიეს, ვიეტ კაველაშვილს, ეერ ჩამოთვლი ყველას, ვინც სამართლიანად არის ღირსი მადლობისა ამ საზეიმო დღეს.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის" „კოლექტივების თავდადებული, ჭეშმარიტად გმირული შრომით შეიქმნა მშვენიერი თანამედროვე სამრეწველო საწარმო, რომელიც უახლესი ტექნიკოლოგიური მოწყობილობით არის აღჭურვილი. საერთო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ-სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს ტრესტ „ლეგმაშის" მოსკოველმა მემონტაჟეებმა. თავიანთი შრომითი სემესტრი წარმატებით ჩაატარეს ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობაზე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. ყველა მათგანს გულითად მადლობას ვუძღვნით.

მადლობას ვუძღვნით ქვეყნის ფაიფურის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს, სადაც ჩვენი ექსპლოატაციის მუშაკები სწავლობდნენ— ლენინგრადის, დრუჟკოვკის, ბარანოვკის, კრასნოდარის ფაიფურის ქარხნების მუშებს, რომლებმაც ხალისით გაუზიარეს ჩვენს ახალგაზრდობას ცოდნა და გამოცდილება, შეასწავლეს მათ ეს საქმე. სწორედ ამით კიდევ ერთხელ ვლინდება საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით მომძმე ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს — ჩვენს მეგობრებს, რომლებმაც მშენებლობას ბევრი მოწყობილობა და მასალა გამოუგზავნეს. დიდი მადლობა ამხანაგებს ვინდა ტოუფრესა და ზდენეკ ლორენცს, რომლებიც დიდხანს იყვნენ აქ და გვეხმარებოდნენ მოწყობილობის დამონტაჟებაში.

გულწრფელ მადლობას ვუხდით დამპროექტებლებს, ტრანსპორტის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკებს, ყველა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ მუშაკს, უწინარეს ყოვლისა, პარტიის ზუგდიდისა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებს, ზუგდიდის რაიკომს, პარტიის მეზობელ რაკომებს, ყველას, ვინც შრომითი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

წება მიბოძეთ თქვენი სახელით მხურვალე მადლობა გადავუხადო დონეცკის, ვორონეჟის, კურგანის, პენზის, ნიკოლაევის პარტიულ ორგანიზაციებს მოწყობილობისა და მასალების დროული მოწოდების საქმეში დიდი დახმარებისათვის.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით მადლობა გადავუხადო საკავშირო ორგანოების ხელმძღვანელებს, უწინარეს ყოვლისა, მშენებლობის მინისტრს ამხ. გ. კარაგაევს, სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მინისტრს ამხ. ბ. ბაკინს, მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ამხ. ნ. ტარასოვს. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით მათს ზრუნვას, უყურადღებასა და დახმარებას.

ახლახან გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომელმაც ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა მეცხრე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი შედეგები და ჩამოაყალიბა მეათე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, თქვა ამხ. შევარდნაძემ. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემულ დებულებებსა და დასკვნებს. ეს მკაფიოდ ცხადყოფ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა.

დღეს პარტია პირველ პლანზე აყენებს წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საკითხებს. ამით უნდა იხელმძღვანელოს ზუგდიდის თაიფურის ქარხანამ. თქვენი საწარმო იწყებს თავის ცხოვრებას, და პირველი დღეებიდანვე უნდა აიღოთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების კურსი, მით უმეტეს, რომ თქვენი პროდუქცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველდღე მშრომელთა თვალწინ იქნება.

პირველი ქართული ფაიფურის ნაწარმი იშვა მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ დღეებში, რომელიც თავისი შედეგებითა და მიღწევებით უბადლოა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს მეტად ღირსშესანიშნავი, მეტად სიმბოლურია.

დაე მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, ექსპლოატაციის ყველა მუშაკს, ამ მსხვილი საწარმოს მშენებლობის ყველა მონაწილეს დიდხანს ახსოვდეს დღევანდელი დღე — სოციალისტური საქართველოს ფაიფურის მრეწველობის პირველი ნაბიჯები.

შემდეგ ამხ. შევარდნაძემ თქვა: დღეს ჩვენ პატივს ვცემთ ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლებს. მაგრამ ჩვენს მიტინგს ესწრებიან ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლთა სახელოვანი კოლექტივის წარმომადგენლებიც. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ითხოვო ამ უნიკალური ნაგებობის ყველა მშენებელს ადასტურებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ყველა მშრომელი, მთელი ჩვენი ხალხი მათზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ.

ენგურის ჰიდროელექტროსადგური მეათე ხუთწლედის უდიდესი მშენებლობაა. იგი მწყობრში უნდა ჩადგეს 1977 წლის დამლევისათვის. მაგრამ ამ საპატიო ამოცანის შესასრულებლად გაისადგე, მეათე ხუთწლედის პირველ წელსვე უნდა აიღონ სამშენებლო სამუშაოთა სწრაფი ტემპი და თანდათანობით იგი კიდევ უფრო გაზარდონ, ხელი დაკაპიწებულმა იშრომონ ახალი, 1976 წლის პირველი დღეებიდანვე.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვა დასასრულ ამხ. შევარდნაძემ, ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ფაიფურის ქარხნის მშენებლებს სახელოვანი შრომითი საქმეებისათვის, გულთბილად მივულოცო მომავალი ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, სიხარული და დიდი ბედნიერება, ახალი შრომითი გამარჯვებები ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებისათვის, კომუნიზმისათვის!

მიტინგზე გამოვიდნენ „სოიუზმონტაჟლეგმაშის" უბნის მემონტაჟე ზეინალი ვ. გაპონიეკი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ს. ციმინტია. მიიღო რა მისგან ახალი ქარხნის სიმბოლური გასაღები, სიტყვა წარმოთქვა ფაიფურის ქარხნის დირექტორმა, მ. დემურიამ.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწეარალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. აბაშიძემ, პოეტმა ხ. ბერულავამ, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსმა მ. ცისკარიშვილმა, ენგურის ცილულოზა-ქაღალდის კომბინატის დირექტორმა ო. ფაცაციამ, ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ო. ხუხუნმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში ქარხნის მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. კიკიანმა წაიკითხა მიტინგის მოწაწილეთა წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი. (საქინფორმი).

დეკეშა თვითმფრინავიდან

სამშობლოში მომავალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა თვითმფრინავიდან მისახალშეტელი დეპეშა გაუგზავნა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს.

ა. ნ. კოსიგინმა მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, თურქ ხალხს მეგობრული მიღებისათვის, რომელიც თურქეთში გაუწიეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციას, და გამოთქვა რწმენა, რომ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ფ. ხ. კორუთურქთან, პრემიერ-მინისტრ ს. დემირელთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან შეხვედრები და საუბრები ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ორივე მხარისათვის ხელსაყრელი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, რომლის მაგალითია ამ დღეებში ამოქმედებული ისკენდერონის მეტალურგიული კომბინატი.

ა. ნ. კოსიგინმა თურქ ხალხს უსურვა წარმატებები და კეთილდღეობა. (საკავშირო).

საკავშირო ცნობა

„მ ო ლ ნ ი ა-3"

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირგაბმულობის სისტემების შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1975 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა კავშირში მაღალ ელიფსურ ორბიტაზე გაიყვანეს კავშირგაბმულობის თანამგზავრი — „მოლნია-3", რომლის რესტარანსლაციო აპარატურა უზრუნველყოფს სისტემის მუშაობას ტაღლების სანტიმეტრიანი დიაპაზონით.

კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-3" უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირში შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების „ორბიტის" ქსელის პუნქტებში გადაცემის და საერთაშორისო თანამშრომლობას.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: აპოგეა — 40800 კილომეტრი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და პერიგეა — 470 კილომეტრი სამხრეთ ნახევარსფეროში, მიმოქცევის პერიოდი — 12 საათი და 16 წუთი, ორბიტის დახრილობა — 62,8 გრადუსი.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ — ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲣᲑᲜᲔᲑᲡ

„სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდა და დიდი სტაბილურობა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლება სურსათ-სანოვაგეზე მოსახლეობის დაჯილდოებულზე — მრეწველობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საჭირო სახელმწიფო რეზერვების შექმნისათვის“, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ 33-ე რაიონული პარტიული კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, დებულებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა, მორიგი ამოცანები „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესაბამისად.

მომხსენებელმა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. გამრეკელმა და კამათში გამოსულმა კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ, რომელმაც გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის მეცხოველეებს, დუშეთის რაიონში გარკვეული ცვლილებანი მოხდა. ახლა რაიონში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ახორციელებენ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ წამოყენებულ ლოზუნგს, რომ საქართველოს შეუძლია და კიდეც უნდა გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა, რაიონში, სადაც მეცხოველეობის პროდუქცია წარმოების საერთო მოცულობის 75 პროცენტს შეადგენს, გაჩაღდა ბრძოლა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის. სოფლის მშრომელები მეტ ყურადღებას უთმობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს უკანასკნელ ხანს დაიწყო. მანამდე კი ნეგატიურმა მოვლენებმა, რომლებიც იყო მთელი ჩვენი რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, უარყოფითი გავლენა მოახდინეს დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაზეც. საკმარისია ითქვას, რომ რაიონში ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფოს დააკლო 6.060 ცენტნერი ხორცი, 5.648 ცენტნერი რძე, 42,1 ათასი ცალი კვერცხი, 75.324 ცენტნერი მარცვლეული, 12.216 ცენტნერი კარტოფილი, 14.050 ცენტნერი ბოსტნეული, 16.704 ცენტნერი ხილი, 9.111 ცენტნერი ყურძენი. დიდი იყო თითქმის ყველა სახეობის პროდუქციის თვითღირებულება.

მეცნიერებათა და პრაქტიკით დადგენილია, რომ ხორცის რესურსების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მთავარი გზაა პირუტყვის კარგად ორგანიზებული სუქება იალაღებსა და ფერმებში. ამის შედეგად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცოცხალი წონა შეიძლება ერთნახევარჯერ-ორჯერ გადიდდეს. მაგრამ პირუტყვის სუქების ორგანიზაციისათვის რაიონში თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწეოდნენ, ცუდად იყენებდნენ რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეებს ხორცის წარმოების გასაადიდებლად.

ხორცის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მეორე დიდმნიშვნელოვანი წყაროა პირუტყვის მასობრივი სუქება და დავარგება, მაგრამ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მათს სასუქებელ მეურნეობებს შესაძლებლობანი არ გააჩნდათ ამისათვის, რომ უზრუნველყოთ პირუტყვის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების საკვებით, ცუდად იყენებდნენ მათთვის გამოყოფილ მიწაცა და ტექნიკას. ამის შესახებ, კერძოდ, ილაპარაკეს ფაანაურის კოლმეურნეობის სარქალმა ი. გვრიტიშვილმა, მუშაიკერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ო. მამულაშვილმა, სოფელ მაღარასკარის ვაეა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარემ ლ. უძილაურმა და სხვებმა.

არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობის მწყეოლავმა მ. გოგოჭურმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 11 თვეში თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო შუალოდ 1.431 კილოგრამი რძე, საბჭოთა მეურნეობაში ბევრი მოწინავე მწყეოლავი. მათ შორის არიან თ. ფირიფონაშვილი, რომელმაც ამ პირიდოის მანძილზე მიიღო საშუალოდ 1.431 კილოგრამი რძე. მ. ქისტური, რ. წიკლაური, თ. ლიკნელი და სხვები, რომლებმაც ერთ ძროხაზე საშუალოდ 1.300-1.380 კილოგრამი რძე მიიღეს, მაგრამ მათ გამოცდილებას არ ავრცელებენ. როგორც ეს საბჭოთა მეურნეობა, ისე სხვები, წლიდან წლამდე ებრძვიან შედარებით დაბალი საბაზისო ცხიმიანობის დიდძალ რძეს იმის გამო, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ძროხის რძის ცხიმიანობის ამაღლებას და მეურნეობებს დიდი ზარალი მოსდით.

საერთოდ რაიონში ძალზე დაბალი იყო თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა, რომელმაც 1974 წელს შეადგინა საშუალოდ 1.007 ლიტრი, მაშინ, როცა მთლიანად რესპუბლიკაში იგი 1.429 ლიტრს შეადგენს. მდგომარეობა მხოლოდ წელს გაუმჯობესდა რამდენადმე. ისახება ღონისძიებანი მანქანური წველის ფართოდ დანერგვისათვის.

დაბალმა დისციპლინამ, სოციალისტური შეჯიბრების არასაკმაო გაქანებამ, შეცდომების მიჩქმალვისა და მდგომარეობის შელამაზების, მაამებლობის, სახელმწიფოს მოტყუების პრაქტიკამ, რომელიც წლების მანძილზე იკიდებდა ფეხს, ჩამოარჩინა რაიონის ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

მრეთის, ჯუდამაყრის, მაღაროსციხის მეურნეობებში გამუდმებით ირღვეოდა წესები და კანონები, ადამიანებს არ მიეწოდათ გული ფერმებში, მინდორში სამუშაოდ. ასეთ პირობებში შეჯიბრების გაწლის ყველა ცდა ამაო იყო. როგორც წესი, ვალდებულებანი ფარტინა ქაღალდზე რჩებოდა.

ისევე როგორც ყოველგვარ საქმეში, შეჯიბრებაში მეტად მნიშვნელოვანია მიზანდასახულობა, იმის უნარი, რომ ხელი ჩასჭიდო მთავარს და მხედველობის არედან არ დაკარგო ეგი.

მეცხოველეობის, მიწათმოქმედების განვითარებაში ბევრი მეურნეობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ამ მიზეზია მინდერეული ცუდი განოყიერება, ზოგჯერ კი სასუქების უყაირათო, არასწორი გამოყენება.

მომხსენებელმა ეა სიტყვებით გამოსულ ელემა ყურადღება დაუთმეს ყიზლარის საძოვრების უკეთ გამოყენების საკითხს. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი მთელი რიგი ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო საძოვრებს ძალზე ცუდად იყენებდნენ. ნქ არ თესავდნენ მრავალწლოვან ბალახებს, არ გაჰყავდათ სარწყავი სისტემა, სამუშაოდ იწვევდნენ სეზონურ მუშებს, შემოხვევით ადამიანებს, რაც წარმოშობდა მოტყუებას, სპეკულაციას, სხვა უკანონო მოქმედებას. პარტიის რაიკომმა წელს მკაცრად დასჯა ამგვარი მოვლენებისათვის მაღაროსკარისა და გუდამაყრის მეურნეობათა ხელმძღვანელები, ანანურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. მასალები ზოგიერთ ეაი-მუშაზე გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს.

მეცხოველეობის განვითარების ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე ზამთრისათვის ცუდი მომზადება. როგორც წესი, ზამთრის პირობებში მუშაობასათვის მზადება იწყებოდა მაშინ, როცა ზამთარი უკვე კარს იყო მომდგარი.

კონფერენციაზე კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანების მისამართით, რომლებიც არ ამარაგებენ დროულად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, და განსაკუთრებით ყიზლარის საძოვრებს, საჭირო საშენი და სხვა მასალებით. ისეც ხდება, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან. მაგალითად, აგვისტოში ყიზლარის მეურნეობებისათვის გაიგზავნა ისეთი დიდი დიამეტრის მორები, რომ შეუძლებელი გახდა მათი დახერხვა და ისინი დღემდე ღია ცის ქვეშ ყრია და ლპება.

უპასუხისმგებლობა, დაუდევრობა მუშაობაში, სათანადო კონტროლის უქონლობა იწვევდნენ სავალალო, აუნაზღაურებელ დანაკარგებს.

კონფერენციაზე მოიყვანეს ასეთი მაგალითები. რაიონში 20 სპეციალისტი მუშაობს ჯიშმოშენებაზე. 20 წლის მანძილზე მათი შენახვისათვის დაიხარჯა თითქმის 300 ათასი მანეთი, უკეთეს კი არ ჩანს.

საქონლის საკვები რაიონში ჯერ კიდევ პრობლემაა. ნაკლებობის, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი ჩრდილოეთ კავკასიიდან შეიმოაქეთ, მაღალია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. აღინიშნა, რომ უნდა ეძებონ და აღმოაჩინონ რეზერვები, სრულად გამოიყენონ ისინი.

მატყლი საფეიქრო მრეწველობის დიდმნიშვნელოვანი ნედლეულია. მისი წარმოებისა და დამზადების დონეზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის შეთხოვნათა დაკმაყოფილება ხარისხოვანი შალის ქსოვილებით. მაგრამ ცხვრის სულადობის რაიონებრივ ზრდაშიც და მატყლის დამზადებაშიც რაიონს აქვს ნაკლოვანებანი. თვითეულ ცხვარზე აქ სულ საშუალოდ იღებენ 2,5 კილოგრამ მატყლს, მაშინ როცა შეიძლება მიიღონ 3,5-4 კილოგრამი.

რაიონში არსებითი ხარვეზები იყო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაშიც. წინათ არაერთხელ ყოფილა ქვემოდან ინიციატივისადმი, კარგი თოსნობის ხხარდაჭერისა და გავრცელებისადმი ფორმალური, ბიუროკრატიული მიდგომის შემთხვევები.

კონფერენციამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ შეჯიბრების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საშუალებებს. არის ნაკლოვანებანი პოლიტიკური განათლების სისტემაშიც, რომელშიც ჩაბმულია რაიონის 4.098 მშრომელი.

დუშეთის რაიონი რესპუბლიკაში მესტიის შემდეგ მეორეა ტერიტორიის მიხედვით. მაგრამ აქ მოსახლეობის სიმჭიდროვე რამდენჯერმე დაბალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. რაიონში არის სოფლები, სადაც სულ რამდენიმე კომლი ცხოვრობს. ეს აძნელებს კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ასეთ სოფლებში ვერ გახსნი სკოლებსა და კლუბებს, კავშირგაბმულობის განყოფილებებს და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებს. მაგრამ ამოცანა ის არის, რომ არც ერთმა მეცხოვრებმა, არც ერთმა მოქალაქემ არ იგრძნოს, რომ მოწყვეტილია ცხოვრებას. შორეულ და ნაკლებდადასახლებულ სოფლებში ხშირად უნდა დადიოდნენ მოძრავი კინო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, რაიონული კულტურის სახლის ბრიგადები და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა მწყემსების მომსახურება, რომლებიც რამდენიმე თვით მოწყვეტილი არიან ოჯახებს, მშობლიურ ადგილებს. რაიონის პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან სისტემატურად იზრუნონ მწყემსებზე, ამის შესახებ, კერძოდ, ილაპარაკეს დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. წიკლაურმა, კომკავშირის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. წიკლაურმა, ჭოპორტის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კოზმანაშვილმა და სხვებმა.

დუშეთის პირველი საშუალო სკოლის დირექტორმა ა. ბაშარიულმა, საუბნო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნ. ჩიხელმა და სხვებმა კონფერენციაზე ილაპარაკეს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაზე, სწავლებაში სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმაზე, ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის პედაგოგთა პასუხისმგებლობის გაზრდაზე.

დუშეთის რაიონში 1971 წელს მდინარე არაგვზე დაიწყო 130 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგეტიკული ჰიდროელექტროსადგურის შენებლობა. სადგური გათვალისწინებულია ქალაქ თბილისს წყალმომარაგებისათვის, ახლო-მახლო მიწების მორწყვისა და „საქმთავარენერგოს“ სისტემის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის. მაგრამ აქ წლითიწლობით არ სრულდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა. მიმდინარე წლის თერთმეტი თვის გეგმა მხოლოდ 82 პროცენტით შესრულდა, მთვარ საკუთარი ძალებით — 67,3 პროცენტით. არ წყდება საშენი მასალების განაწილების, მოთვისების ფაქტები, მშენებლობაზე დაბალია შრომის და საწარმოო დისციპლინა. „საქჰიდროენერგოშენის“ ტრესტის ხელმძღვანელობა, რომელმაც ამის შესახებ იცის, სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის, სადგურში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის.

საქართველოში ელექტროტექნიკური მრეწველობის წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების მიზნით 1971 წელს დუშეთში შეიქმნა ქარხანა „ელექტრომრავალი“ ფილიალი, რომელიც დასპეციალებულია ელექტროძრავების სექციების გრაგნაზე. ფილიალი მთავავსებული შეუფერებელ შენობაში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს წარმოების ორგანიზაციის ნორმალურ პირობებს სექციების მოწყობისა და გრაგნისათვის.

კონფერენციაზე გააკრიტიკეს აგრეთვე „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული დაწესებულებების მუშაობა. კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დუშეთის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას უნარი შესწევს აღმოფხვრას მუშაობის ეს და სხვა ნაკლოვანებანი. ახლა ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების ლიკვიდაციას ხმარდება კომუნისტების, უპარტიო აქტივის მთელი მეცადინეობა. აღინიშნა, რომ რაიონის მშრომელები დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“, რომლებიც ახალ პერსპექტივებს სახავენ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ პარტიის ახალ ზრუნვას დუშეთის რაიონის მშრომელები უპასუხებენ პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლით.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოთა განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

(საქინფორმი).

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲪᲕᲚᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲔᲗ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ „ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚ. ᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜ. ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1976-1980 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ“.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲒᲐᲕᲘᲡᲮᲔᲜᲔᲑᲐ • ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ • ᲞᲝᲚᲔᲛᲘᲙᲐ

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲪ, ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲘᲪ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ პირველ ორ წელიწადს საწარმოს კოლექტივი ჩამორჩებოდა, ვერ შესრულდა სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებანი, მაგრამ 1973-1974 წლებში და განსაკუთრებით ხუთწლედის მეხუთე, დამამთავრებელ წელს მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, დიდი გადაჭრებებით შესრულდა როგორც გეგმები, ისე სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. ეს წარმატებები უპირველესად განაპირობა რესპუბლიკაში მომხდარმა სასიკეთო ძვრებმა. მშრომელთა მასებს აქტივობის ამაღლებამ, სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობამ, ფაბრიკის რეკონსტრუქციამ, რამაც ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას.

გულდასმით განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლებში ძირითადი მიმართულებანი“ და ღრმად დავრწმუნდით, რომ ხარისხის გასუმჯობესებლად რაც გავაკეთეთ ცოტაა.

როგორც ვიცით, მომავალი მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია, ამიტომ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებას აქვთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმეთ. წლიურს წარმოებაში დაინერგა 18 ახალი მოდელი, ხარისხის ნიშნითა და სიახლის ინდექსით გამოშვებული 2 სახის პროდუქცია. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შარშან პირველად რესპუბლიკაში ჩვენთან დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც ხარისხზე სისტემატიურ, ე. წ. ციკლურ კონტროლს ითვალისწინებს.

მაგრამ ჩვენთან ყველა პრობლემა როდია გადაჭრილი, მუშაობაშია ისევ ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრისათვის თანმიმდევრულად ვიბრძვით პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

ახალ ხუთწლედში მთავარი რჩება პროდუქციის ხარისხის საკითხი. ამ მხრივ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. წლიურს 11 თვეში მიღებული გვაქვს 27 რეკლამაცია და ჯარიმის სახით გადავიხადეთ 9.400 მანეთი. მართალია, ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე შარშან, მაგრამ მაინც არ გვეპატიება; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ შესრულდა პროდუქციის გამოშვების დავალება იმ რაოდენობით, მეცხრე ხუთწლედის საკონტროლო ციფრებით რომ იყო გათვალისწინებული.

სერიოზული ნაკლოვანებებია შესრულების კონტროლის და შემოწმების სისტემის სრულყოფაში, რის გამოც არის შრომითი, სახელმწიფო და საწარმოო დისციპლინის დარღვევები (უმიზეზო გაცდენები, სამუშაოზე დაგვიანება, წუნიანი პროდუქციის გამოშვება).

აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით საწარმოს ადმინისტრაციას პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად დასახული აქვს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. მკაცრი პრინციპული მსჯელობის საგანი ხდება თვითეული შეცდომისა და დარღვევის ფაქტი, პარტიული ბიუროს სხდომებზე და ღია პარტიულ კრებებზე თვითანგარიშით გამოდიან ხელმძღვანელი მუშაკები, ავლენენ ნაკლოვანებებს და ისახება მათი გამოსწორების გზები.

ფაბრიკის კოლექტივს ბევრი პრობლემა აქვს, რომელთა შესახებ თავის დროზე მრავალჯერ ვთქვით, მაგრამ დღემდე ვერ გადავწყვიტეთ. თუ ისინი არ გადაიჭრა, მეათე ხუთწლედის გაზრდილი გეგმების შესრულება გაგვიჭირდება. ჩვენი საწარმოო სამძლავრეების სრული ამოქმედებისათვის ახლა საჭიროა დამატებით 300-მდე მაღალკვალიფიციური მუშაკი. მუშახელის ნაკლებობისა და მისი დენადობის მიზეზად ჩვენ საერთო საცხოვრებლის უქონლობა და ფაბრიკაში ცუდი სამეფ[illegible] და საყოფაცხოვრებო პირობ[illegible] მიგვაჩნია. არა გვაქვს ქალ[illegible] ოთახები, დასვენების კუთხე, საგ[illegible] რდერობო და სხვა დამბმარე [illegible] თავსოები, ხოლო სასადილო [illegible] საექმო პუნქტი მოთავსებულ[illegible] ძალიან შეუფერებელ ადგილ[illegible] და ვერ აკმაყოფილებს ჩვენი [illegible] წარმოს მოთხოვნილებას. გეგ[illegible] თოებას მოითხოვს მოსამზადებ[illegible] ლი და საგამომჭერელო საამქ[illegible] ები.

ზემდგომმა ორგანოებმა დაა[illegible] ლეს „საქსპორტფაჭრობის“ და [illegible] სადილოების № 1 ტრესტის მ[illegible] ჩვენ მეზობლად მდებარე ფა[illegible] ბული ფართობის ფაბრიკისათ[illegible] გადაცემის შესახებ, მაგრამ ეს [illegible] კითხი დღემდე მოუგვარებელ[illegible] თუმცა, ჩვენი აზრით, მისი დად[illegible] ბითად გადაჭრის საშუალება ა[illegible] და დღესაც არის. უფრო მეტ[illegible] საწარმოს ტერიტორიაზე გათ[illegible] სუფლდა 300 კვადრატული მეტ[illegible] ფართობი, რომელიც სხვა ორ[illegible] ნიზაციას ეჭირა. ამ საკითხზე მ[illegible] მრთეთი სათანადო ორგანოე[illegible] თითქოს ყველაფერი გაკეთდა [illegible] დეც, რათა ეს ფართობი ჩვენ[illegible] ვის გადმოეცათ, მაგრამ სამ[illegible] ლოოდ ჩვენ უარი გვითხრეს, [illegible] ნიშნული ფართობის ერთი ნა[illegible] ლი გადაეცა ქალალდის პარკ[illegible] საამქროს, ხოლო მეორე ნაწ[illegible] დღესაც ვამოუყენებენ.

სამი წელია ჭიანურდება ფ[illegible] რიკის ავარიული კედლის რეკ[illegible] სტრუქცია, არ არის გადაწყვეტ[illegible] ლი ფაბრიკის 700-კაციანი კო[illegible] ქტივისათვის კოოპერატიული [illegible] ნის მშენებლობის საკითხი.

1976-1980 წლებში სსრ კავ[illegible] რის სახალხო მეურნეობის განვ[illegible] თარების ძირითადი მიმართულ[illegible] ებები დიდ ამოცანებს გვისახავ[illegible] ჩვენი კოლექტივი მზად არის [illegible] დაწყვიტოს მეათე ხუთწლედ[illegible] გაზრდილი დავალებანი და ყველ[illegible] ღონეს იხმარს, რომ ჩვენი პრ[illegible] დუქციით მოახმარებელი კმაყ[illegible] ფილი დარჩეს.

ნ. ᲛᲣᲡᲔᲠᲘᲫᲔ

თბილისის სამკერვალო ფ[illegible] რიკა „ამირანის“ დირექტორ[illegible]

ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში 1976-1980 წლებისათვის გათვალისწინებულია მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 26-28 პროცენტით გადიდდეს. 1980 წელს ქსოვილების წარმოება გაიზრდება 12,5-13,1 მილიარდ კვადრატულ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 1800-1900 მილიონ ცალამდე, უქსოვადი ქსოვილებისა — 3,4-3,5-ჯერ, ხალიჩებისა და ხალიჩულისა — 2,1-ჯერ. მნიშვნელოვნად გადიდდება ფორმამდეგი ტრიკოტაჟის, ტილოსა და ხელოვნური ბეწვის გამოშვება.



ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᭪ᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა საანგარიშო მოხსენებანი პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის პარტორგანიზაციის ხარეგზიო კომისიის მუშაობის შესახებ. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. Შ. ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲠᲩᲘᲣᲚᲘ საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ᭪ᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ნ. Ქ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ, მეორე მდივნად — ლ. Გ. ᲓᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მდივნად — ნ. Ა. ᲙᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ᲯᲐ. Ი. ᲙᲐᲢᲝᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ახალარჩეული პარტიის რაიკომის პირველი პლენუმი, რომელზეც საქართველოს კომპარტიის ᭪ᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ რაიკომის პირველ მდივნად აირჩეულია ᲓᲐ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ, მეორე მდივნად — ᲗᲝᲜ. Ი. ᲗᲐᲕᲐᲙᲘᲫᲔ, მდივნად — ᲒᲐ. ᲕᲘ. ᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ თელავის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ Ш. ᲓᲐ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ახალარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა ხაჭართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია Ა. Ш. ᲙᲝᲑᲐᲫᲔ, მეორე მდივნად — Ш. Ა. ᲣᲐᲠᲐᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მდივნად — Ш. Ლ. ᲑᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲭᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ Ш. ᲓᲐ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ახალარჩეული საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა ხაჭართველოს კომპარტიის ᭪ᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია Ш. Ა. ᲙᲝᲑᲐᲜᲘᲫᲔ, მეორე მდივნად — Ш. Ა. ᲣᲐᲠᲐᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მდივნად — Ш. Ლ. ᲑᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲭᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ხაჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ Ш. Д. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ახალარჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა ხაჭართველოს კომპარტიის ᭪ᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ რაიკომის პირველ მდივნად აირჩია Ш. Д. ᲙᲝᲑᲐᲜᲘᲫᲔ, მეორე მდივნად — Ш. Д. ᲣᲐᲠᲐᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მდივნად — Ш. Ш. ᲑᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲬᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ხაჭართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ და რადიომაუწ

29 დეკემბერი

ამბები • ფაქტები



საკვები და ეცხოვრების პრესის სააგენტოები იტყობინებიან

სოციალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი

ენერგეტიკული პროგრამა

ვარშავა. ჟარნოვეცის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაკირზე დაგეგმილია აშენდეს პოლონეთში პირველი ატომური ელექტროსადგური.

ელექტროსადგურის მოწყობილობას პოლონეთი საბჭოთა კავშირიდან მიიღებს. მისი მშენებლობით დასაბამი მიეცემა რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ახალ ეტაპს. სოციალისტთა აზრით, უკვე 1990 წელს ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების თითქმის 18 პროცენტს ატომური ელექტროსადგურები მოგვცემენ. მომდინარე საუკუნის დამლევს ეს წილი 40 პროცენტამდე გაიზრდება.

პოლონეთის ატომური ენერგეტიკის შექმნაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა სპეციალისტები უხელმძღვანელებენ ყარნოვეცის ტბის ახლოს ობიექტის მშენებლობას.

უნგრეთი

ხუთწლედი — ბოლამდე

ბუდაპეშტი. ორასსლანელმა მეშახტეებმა სამშობლოს უპატაკეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულება. მათ ხუთი წლის მანძილზე ქვეყანას მისცეს 18 მილიონი ტონა ქვანახშირი და იკისრეს ვალდებულება წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით ამოიღონ კიდევ ათიათასობით ტონა სამთაბო. ახალი მალალი მაჩვენებლები მიღწეულია იმის შედეგად, რომ მეშახტეებმა გააჩალეს შეჯიბრება უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობისა და ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავის აღსანიშნავად.

ჩეხოსლოვაკია

ზრდადგა კომპარტიის რიგები

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ერთიანი და შეუპყრობელი ეგზეგეგა თავის XIV ყრილობას. იგი მჟიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან, დღენიადაგ ზრდის თავის რიგებს მეშახტეთა კლასის, კოოპერაციული გლეხობისა და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის შემდეგ ანგარიშებულ პერიოდში პარტიაში მიიღეს 267 ათასი კაცი. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ორგანოს ახლად მიღებულ წევრებს ... 62 პროცენტზე მეტს მუშათა კლასის წარმომადგენლები შეადგენენ.

მსოფლიო დღეს

დამთავრდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ვიზიტი

ისკენდერონი, 28 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ანკარიდან აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში აგებული ისკენდერონის მეტალურგიული ქარხნის გახსნაში.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი.

ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ხალხმრავალ სხზეიმო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ა. ნ. კოსიგინმა.

ჩვენ მივესალმებით ყველას, თქვა მან, ვინც თავისი შრომა და ცოდნა მოახმარა მეტალურგიული ქარხნის შექმნას: თურქ მუშებს, ინჟინრებს, ადმინისტრატორებს, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს თავიანთი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების საქმეში; საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ შენებლობაში და დახმარებას უწევდნენ ამ საწარმოს შექმნას. ხელი შეუწყვეს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას, მათი თანამშრომლობის გაფართოებას ორივე მხარის საკეთილდღეოდ.

ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, რომ უკვე ტრადიციული გახდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობას დასაბამი მიეცა 30-იან წლებში, როცა საბჭოთა სპეციალისტების ხელშეწყობით თურქეთში აშენდა ორი საფეიქრო კომბინატი, რამაც არსებითი როლი შეასრულა თურქეთის ეროვნული კადრების მომზადებაში. საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს განვაგრძოს და განვაფთაროს ეს ტრადიციები. ... ეტაპებად ... ეკონომიკის ... ეროვნული ... ეკონომიკის ... ეროვნული ... ეკონომიკის ... ეროვნული

ყინვისაგან რომ დაიცვანთ...



ციტრუსების მოვლა-დამუშავებას, ზამთრის ყინვებისაგან დაცვას დიდ ყურადღებას აქცევენ გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში. სწორედ ამის შედეგია, რომ აქ ყოველთვის უხვი მოსავალი მოჰყავთ. ახლა ციტრუსოვანთა პლანტაციებში ხაზამთრო სამუშაოები მიმდინარეობს, გრძელდება ნარგავების შეფუთვა და ყინვისაგან დასაცავი გათბობის საშუალებათა მომარაგება.

სურათზე: შეფუთული ლიმონის ნარგავები.

ი. ბოსტნელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საახალწლო ვაჭრობა

საახალწლო ვაჭრობა გაიაღდა თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააძლიერეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა. დიდძალი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ხორცი, ფრინველი, რძის პროდუქტები შემოაქვთ ზეფარი წყაროს, ძცხეთის, გორის, გარდაბნის, მარნეულის, ხაშურის, ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა რაიონების მეურნეობებიდან.

გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობს პირველი მაისის, კროვის, 26 კომისრის რაიონებისა და ნავთლუღის ბაზრებზე.

ძლიერდება სურსათის შემოზიდვა ქალაქის მაღაზიებში. ყოველდღე ისიხი იღებენ დაახლოებით 160 ტონა ხორცს, 20 ტონა ფრინველს, 60 ტონა ძეხვეულს, 100 ტონა ყველს, სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმს, ხილს.

(საქინფორმი).

ტურისტული მატარებლები

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ საახალწლო დღესასწაულისათვის დანიშნა ტურისტული მატარებელი და ეგრეთწოდებული „დასვენების დღის“ შემადგენლობები. დასვენების დღის მატარებლები თბილისიდან სოხუმის მიმართულებით გავა ახალი წლის 2,5, 10 იანვარს.

მომავალი ახალი წლის დღესასწაულისათვის დანიშნულია აგრეთვე შორეული მიმოსვლის ტურისტული მატარებლები. 28 დეკემბერს თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავიდა ტურისტული მატარებელი, რომლის მგზავრები ეწვევიან ლენინგრადს, ხარკოვს, მინსკს, ბრესტსა და ქვეყნის სხვა სამრეწველო და კულტურულ ცენტრებს.

როგორც შტაბში მოსული წინასწარი განაცხადები მოწმობს, თბილისში თავის მხრივ ჩამოვლენ ექსკურსანტ მგზავრთა ჯგუფები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ომსკიდან და სხვ. (საქინფორმი).

ძეხვი „ტყიბული“

ტყიბული. (საკ. კორ.). საახალწლოდ მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის ხორაკოცმბინატის საძეხვე საამქროში შექმნეს ახალი, ორიგინალური სახის, ნახევრად ბოლშიგამოყვანილი ძეხვი „ტყიბული“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა რესპუბლიკურ დათვალიერება-კონკურსში. საქართველოს სსრ ხორეცსა და რძის მრეწველობის სამინისტრომ მიიღო დავალება აღნიშნულ კვების პროდუქტზე სახელმწიფო სტანდარტი შეიმუშაოს.

ხარაჩოები ჩამოხსნეს

შუახევი. (საკ. კორ.). სოფელ გოგაძეებში ხარაჩოები ჩამოხსნეს ორსართულიან კულტურის სასახლეს. ამავე სოფელში დამთავრდა ბავშვთა ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა.

სოფელ ჯაბნიძეებში გაიხსნა ახალი საფოსტო განყოფილება, რომელიც ამავე დროს სოფელ ქიძინიძეების მშრომელებსაც მოემსახურება.

„საქართველოს ბუნება“ № 12

გამოვიდა ყოველთვიური საეცნიერო-საწარმოო-პოპულარულ ჟურნალი „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

მწყობრში ჩაყენა

სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება კურორტი წყალტუბო. მწყობრში ჩადგა სასტუმრო „ინტურისტი“, რომელიც წყალტუბოს № 2 სამშენებლო უბნის მშენებლებმა აიგეს. (სამშენებლო უბნის უფროსი დ. თევდორაძე, პროექტის ავტორი ლ. ლორთქიფანიძე). ახალი სასტუმრო ერთდროულად 200 ტურისტს მიიღებს. დამსვენებლებს მოემსახურება კეთილმოწყობილი რესტორანი, კავშირგაბმულობის განყოფილება, ქალთა და კაცთა ხალონები, სანაბიჯეტო დარბაზი, ბარი. შენობის შიდა ინტერიერები ლამაზად გაფორმებულია.

სასტუმრო „ინტურისტი“ კარგი სარეკლამოა დამსვენებლებისათვის.

სურათზე: სასტუმრო „ინტურისტი“.

ბ. გოგოლიას ტექსტი და ფოტო.

„სპორტლოტოს“ ტირაჟის შედეგები

სპორტლოტოს ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეჯამა 24 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის 49-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტოს“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მოიგო 1.358 მანეთი, ოთხი ნომერი — 32 მანეთი, სამი ნომერი — 3 მანეთი.

„სპორტლოტო-2“: აქაც ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო მიიღებს 5000 მანეთს, ოთხი ნომერი — 182 მანეთს, სამი ნომერი — 5 მანეთს.

საინტერესო სანახაობა

სურათებზე: სსრ კავშირის 1975 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, ინტერვიზიის თასის მფლობელი ირინე დერიუგინა (მარცხნივ) და საქართველოს ჩემპიონი ლალი დოლიძე — უფროსი (მარჯვნივ).

ს. კილაძის ფოტო.

„კორიდა“, ვალსი და... ქართული

მხატვრული ტანვარჯიშის უძლიერესი ოსტატების საჩვენებელი გასოსვლები თბილისში

მარინე მორბედაძის, ირინე ქემჩუჟინას, ბელა სისაურის, ეკა ლომთათიძის, 10 წლის ადელია სუხოვას და სხვათა ცალკეული თუ ჯგუფური გამოსვლები.

— მხატვრული ტანვარჯიშისათვის ეს საუკეთესო და მეტად სასარგებლო პროპაგანდა იყო, — გვითხრა საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვალენტინა ბატალინმა, — სპორტის ეს შედარებით ახალი სახეობა ახლა ძალზე განვითარებულია ჩვენს ქვეყანაში. ნამარისია ითქვას, რომ ჩვენმა გოგონებმა 25-ჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა სხვადასხვა ვარჯიშში, ხოლო ლიუდმილა საგინკოვა, ელენე კარაუსნინა (ორივე — მოსკოვი) და გალინა შუგუროვა (ომსკი) მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონებიც გახდნენ. უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა „თბილისური ტურნე“, შეიძლება ითქვას, ერთგვარი შესაფალი გასოსვლი საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატისათვის, რომელიც სწორედ თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება 1976 წლის 29 მაისს — 2 ივნისს. უკანასკნელად ხომ ქართველმა სპორტის მოყვარულებმა მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები თქვენს ქალაქში თქმის 15 წლის წინათ — 19[illegible] წელს იხილეს საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც მაშინ ციურქში [illegible] ...

ეი რა გვითხრა საბჭოთა მხატვ[illegible]ლი ტანვარჯიშის ლიდერმა [illegible] დერიუგინამ:

— გამოგიტყდებით, ჩემთვის [illegible] დი მოულოდნელობა იყო [illegible] ქალაქში სპორტის გულშემატკივ[illegible]თა ასეთი ინტერესი მხატვრული ტ[illegible]ნვარჯიშისადმი. ვიცოდი, რომ [illegible] რთველებს ძალიან უყვართ ფეხბ[illegible]თი, კალათბურთი, ჭიდაობა. [illegible] ალბათ ბევრი ნორჩი თბილისელ[illegible] გოგონა ეზიარება ჩვენს სასეირ[illegible] სპორტის სახეობას, თბილისში [illegible] ლიდან ჩამოვიდი, სადაც აგრეთ[illegible] საჩვენებელ გასოსვლებს ვატარებდ[illegible] ძალზე დავიღალე, ფეხიც მტკივ[illegible] მაგრამ თქვენთან ჩამოსვლას არ ვ[illegible]ნობ. შარშან როსტოვში, საკავშირ[illegible] ჩემპიონატზე არცერთი ქართველ[illegible] ტანმოვარჯიშე არ გამოსულა, [illegible] კი თბილისში რამდენიმე კარგი [illegible] ტატი მოგიმზადებიათ. აღვნიშნ[illegible] მათგან ზოგიერთს: დოლიძეები[illegible] გოცირიძე, ი. გაბაშვილი, ე. [illegible] ჩუჭინა და სულ პატარა ა. სუხ[illegible] ერთი სიტყვით, თვითეული მათგ[illegible]სა და მწვრთნელების გულთბ[illegible] ნეობას შეუძლია ახლო მომავ[illegible] კარგი ნაყოფი გამოიღოს — [illegible] დად მე თბილისში გამართულ [illegible] ვშირო ჩემპიონატზე მათგან [illegible] ველ ექვსეულში მოსვლელას [illegible]

ო. ნოზაძე.

...ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეროვნული ბიბლიოთეკა

...ეროვნული ბიბლიოთეკა